საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2598 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამომრჩევლების მიერ ინიციირებული კონსტიტუციური კანონის პროექტისა და საკანონმდებლო ინიციატივებისათვის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულებისთვის, ფიზიკური პირების მიერ პეტიციების წარდგენისა და მასზე მხარდაჭერის ელექტრონული სისტემის დანერგვის შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო მომსახურების (პროგრამული უზრუნველყოფის) სახელმწიფო შესყიდვა საქართველოს პარლამენტის აპარატმა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**